



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება N13/34

2017 წლის 30 მაისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომპეტენციაა აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

#### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას მუშა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ქალაქის ტერიტორიაზე არსებული, დაუმთავრებელი, მიტოვებული, უსახური, შენობა - ნაგებობების საკითხს. მუშა ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას საკრებულოს წევრები.

#### მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია